ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №66

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი *01 სექტემბერი 2014 წელი*

ერთი მხრივ, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თამარ ქალდანის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ორიენტ ლოჯიკი“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ ამ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად 1 (ერთი) ერთეული პორტაბელური კომპიუტერის (ლეპტოპი) **(პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი) - CPV 30213100)** მიწოდება.

პროდუქტის მოკლე აღწერილობა	რაოდნ.	ერთ. ფასი,	სულ, ლარი
ნოუთბუქი- HP Probook 450 G2 Intel i5-4210U 1.7 / 15.6" HD AG 1366x768 / 4Gb / 500Gb 5400rpm / DVD+RW / Free Dos HP Fingerprint Sensor	1	1280	1280
		სულ ჯამი:	**1280**

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1280 (ერთი ათას ორასოთხმოცი) ლარი.

2.2. ერთი ერთეული ლეპტოპის ფასი შეადგენს 1280 (ერთი ათას ორასოთხმოცი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

2.4. შესყიდული საქონლის ღირებულების გადახდა განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2.5. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

2.6. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 2.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება. აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

3.1.2. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი ამ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

3.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.3.1. მიიღოს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი საქონელი ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. დიღმის მასივი, ბელიაშვილის #8

3.4.2. საქონლის დამატებითი მახასიათებლები: პროცესორი - Intel i5-4210U 1.7, 15,6'' არეკვლის საწინააღმდეგო ეკრანის ზედაპირი, ოპერატიული მეხსიერება - 4 GB, მყარი დისკი - 500 GB, DVD-RW.

3.4.3. ამ ხელშეკრულების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე;

3.4.4. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია ვალდებულების დამრღვევ მხარეს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის 0.1%-ის ოდენობით.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის 1%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ გაანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან წარმოშობილი დავებზე ან სხვა სახის მატერიალური/არამატერიალურ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტში განსაზღვრული წესით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

5.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

5.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებული გარემოებები გაგრძელდება 1 (ერთი) კალენდარული თვეზე მეტი ვადით, კონტრაჰენტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

6. ხელშეკრულების კონტროლი

6.1. ამ ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორი არჩილ გელაშვილი.

6.2. ამ ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მოიცავს:

6.2.1. შესყიდული საქონლის ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო ზედამხედველობის განხორციელებას და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას;

6.2.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირებას.

7. სტანდარტები, საპატენტო უფლებები, გარანტია

7.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ასევე იდენტური უნდა იყოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული მაჩვენებლების.

7.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

7.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 01 (ერთი) წლის განმავლობაში. ტექნიკური წუნის ან დაზიანების შემთხვევაში მოწყობილობის შეცვლის ან შეკეთების დრო არ

უნდა აღემატებოდეს 25 კალენდარულ დღეს შეტყობინების მიღების შემდგომ. შეტყობინების განხორციელება შეიძლება მოხდეს ელ. ფოსტის ან სატელეფონო კავშირის მეშვეობით.

7. დავის გადაწყვეტა

მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

8.2. ამ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

8.2.1. მხარეთა შეთანხმება;

8.2.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

8.2.3. საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

9. სხვა პირობები

9.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით;

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9.6. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მიმწოდებელს, ხოლო ერთი ინახება შემსყიდველთან.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	**შპს „ორიენტ ლოჯიკი“**
საიდენტიფიკაციო კოდი: 205305515 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას 7 ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ა.აფაქიძის ქ. 15 ტელ.: 2146831; 2146832 ელ-ფოსტა: office@pdp.ge საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 91ა ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ზელიაშვილის 8 ტელეფონი: 2 54 18 18 ელ-ფოსტა: sales@ol.ge საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE77BG0000000034102630
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	**კომერციული დირექტორი**
/თამარ ქალდანი/	/ალან სანაკოევი/

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №66 (ვიზირების ფურცელი)

ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი

ზეინაბ დეკანოიძე

მთავარი იურისტი

ეკა გორდაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორი

არჩილ გელაშვილი

სახელმწიფო შესყიდვის №66 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის მე-8 მუხლით **(ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები)** გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

თამარ ქალდანი

ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი

ზეინაბ დეკანოიძე

მთავარი იურისტი

ეკა გორდაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორი

არჩილ გელაშვილი